ხელშეკრულება N 41
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 23 ივნისი 2022 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის არჩილ სირაბიძის სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2021 წლის 02 დეკემბრის N01-01-6/48 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ღარათი“, წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის რომან ვახტანგაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), გამარტივებული შესყიდვის შედეგად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად (კლასიფიკატორის კოდი - 15981100) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია: არაგაზირებული სასმელი წყალი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1200 ლარს.

№	დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	არაგაზირებული სასმელი წყალი 19 ლიტრიანი პოლიეთილენის ბოცით	ცალი	120	10	1200
ჯამი					**1200**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად, მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი - შტატგარეშე მოსამსახურე - რეზო ქათამაძე.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

4.3. სასაქონლო ზედნადების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (ფინანსური) დოკუმენტაცია.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქ. N119.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში, 2022 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

7.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	შპს „ღარათი“
ტელ: (422) 27-35-10	ტელ: 558 701717
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი: ქედა, სოფ. კოლოტაური
	საბანკო რეკვიზიტები:
	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200	ბანკის კოდი – BAGAGE22
	ა/ნ - GE93BG0000000101455313
	საიდენტიფიკაციო კოდი - 445540781
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	დირექტორის მინდობილი პირი
არჩილ სირაბიძე	რომან ვახტანგაძე

Archil Sirabidze

Digitally signed by Archil Sirabidze
Date: 2022.06.23 15:19:34 +04'00'

Roman Vakhtangadze 61006011371

Digitally signed by Roman Vakhtangadze
Date: 2022.06.23 13:06:09